




რესპუბლიკის ზოგიერთ კოლმეურნეობაში ცუდად ემზადებიან ბირუტყვის გამოსაზამთრებლად, ყურადღებას არ აქცევენ თივისა და სხვა საკვების დამზადებას.

ამა წლის აგვისტოს თვეში ნიანგმა კვლავ მოაწყო კითხვა-პასუხის საღამო. ამ საღამოს კორესპონდენტების გარდა უამრავი ცნობისმოყვარეც ესწრებოდა. კითხვა-პასუხის საღამომ გულთბილ ვითარებაში ჩაიარა. გაქვეყნებთ ამ საღამოს სტენოგრაფიულ ჩანაწერს.

კითხვა. პატივცემულო ნიანგო, ჩონატაურის რაიონის საფოსტო განყოფილებას ყავს დამტარებლები, დამტარებლებს აქვს ოთახი, მაგრამ ოთახში არ არის სკამი დამტარებელთათვის. ამის გამო დამტარებლებმა ორი ყუთი მიამატეს ერთმანეთს და სკამობა დააბრალეს. ყუთები რომ დაიშალა, მაგიდის ქვეშ მიგდებული ღუმელი გამოათრის, ზედ ქალაქი გადააფარეს და მასაც სკამობა დააბრალეს. ხომ ვერ გვეტყვი, პატივცემულო ნიანგო, შემდეგში როგორ მოიტყენ და მტარებლები?



პასუხი. როგორც მოგეხსენებათ, შემოდგომა ახლოვდება. შემოდგომას კი ზამთარი მოსდევს. ზამთარი კი იმითაა აღსანიშნავი, რომ ზამთარში ღუმელებს ახურებენ. იქმნება სერიოზული საშიშროება, რომ ღუმელს, რომელზეც დამტარებლები სხედან, გაახურებენ, რადგან ყველასათვის ცნობილია თუ რა სასიამოვნოა გახურებულ ღუმელზე ჯდომა, ამიტომ ნიანგი ურჩევს დამტარებლებს დროზე ადგნენ ღუმელიდან და თავს უშველონ.



კითხვა. ამხანაგო ნიანგო! წულუკიძის რაიონ სოფელ პატარა ჯიხაიში ათი წლის წინ აბასაშენეს, მაგრამ ისე ინგრევა, ჯერ ხალხს არ უბანავია შიგ. ჯერ იყო

და სამკითხველო გახსნეს აბანოში, მერე სასადილოს საწყობად აქციეს, ახლა რას უბირებენ არ ვიცი. გარდა ამისა, არც რადიო გვივარგა, არც გზა და არც კლუბი. ხომ არ გვეტყვი, პატივცემულო ნიანგო, როდის გვესტუმრებით პატარა ჯიხაიში?

პასუხი. როგორ მიხედავთ ასეთ ჩამორჩენილ სოფელში მობატონებას! მე თქვენ მოძულელებული ხომ არ გგონივართ?!

კითხვა. ძვირფასო ნიანგო, აწ ივლისის თვეში ქვიშხეთში ვიმყოფებოდი. შემთხვევით ნიშადურის სპირტი დამჭირდა. ადგილობრივი აფთიაქის მუშაკს მივმართე (სხვათა შორის ქალი იყო). ჩემს კითხვაზე ნიშადური ხომ არ გაქვთ—მეთქი, მიბასუხა—გვაქვს, მაგრამ საწყობში ჩასვლა მეზარება, ბოთლიდანაა გადმოსასხმელი და ძალიან არასასიამოვნო სუნი აქვს, გირჩევნია ხაშურში წადიო, ხომ არ მირჩევს ნიანგო, როგორ მოვიქცე?



პასუხი. წადით ხაშურში, შეიძინეთ ნიშადურის სპირტი, ჩადით ქვიშხეთში და ორთავეს—აფთიაქის გამგესაც და მის თანამშრომელსაც—ასუნებინეთ, რათა დარწმუნდნენ, რომ, როდესაც საჭიროა, ნიშადურს არცთუ ისე არასასიამოვნო სუნი აქვს.

კითხვა. პატივცემულო ნიანგო დიდი ლილოს მცხოვრებლებს პატარა თხოვნა აქვთ თქვენთან. საქმე იმაშია, რომ ფოსტა ინგრევა, სახურავიდან წვიმა ჩამოდის. გვიშველეთ რაზე.

—მერე და ამისთვის მოდიოდი, დეპუტა ვერ გამოგვიგზავნეთ?
—გვინდოდა გამოგზავნა, მაგრამ ფოსტაში შესვლა ვერ გაუბედეთ, სადაცაა წაიქცევა. ხომ არ გვირჩევთ რაზე, ძვირფასო ნიანგო?



პასუხი. ახლოს არ გაიაროთ ფოსტის შენობასთან და ნანგრევებში არ მოყვით, საერთოდ ეცადეთ ახალი ფოსტის აშენებამდე არაფერი გეტიკინოთ.

კითხვა. საყვარელო ნიანგო, თქვენზე ამბობენ ხელოვნების საკითხებში ერკვევაო და ერთი გარემოება აგვისსენით თუ შეიძლება. გურჯაანის კულტსახლის დირექტორი მ. ციციშვილი უკვე შესუთე წელია კულტურის სახლის სცენაზე დგამს პიესას—«სურამის ციხე». თუ იმას ფიქრობს ციციშვილი, ხალხს შეპირად ვასწავლი პიესასო, პატიოსნებას გეფიცებით, ვიცით უკვე ეს პიესა შეპირად და თუ სხვა რამეს ფიქრობს არ ვიცი. იქნებ შენ აგვისსა რაშია საქმე, ან გვითხრა რამდენჯერ შეიძლება ამ პიესის ყურება ციციშვილის დადგმით? ან რას გვიპირებს საერთოდ ციციშვილი?



კითხვა. კიდევ ერთი შეკითხვა თუ არ დაიღალეთ, პატივცემულო ნიანგო! საქმე იმაშია, რომ ზნაურიდან ხაშურთან ტელეფონით დაკავშირება გადაუჭრელ პრობლემად იქცა, ანალოგიური მდგომარეობაა ბორჯომის ხეობაშიც. მაგალითად, ბორჯომს რომ დაელაპარაკო, მთელ დღეს დაკარგავ, მანქანი კი 2—3 საათში ჩახვალ. რამეს ხომ არ გვირჩევს, ჩვენო ნიანგო?

პასუხი. მადლობელი ვარ, რომ საქმის ვითარება გამაცანით. მე თვით გაპირებდი ამ დღეებში ბორჯომთან და ზნაურთან ტელეფონით დაკავშირებას და რადგან ასეთ, ისე მანქანით წავალ, უკიდურეს შემთხვევაში—ფხვით, გირჩევთ თქვენც ასე მოიქცეთ, თუ ძალიან საჩქარო საქმე გაქვთ, ჩემო ზნაურელო და ბორჯომელო მეგობრებო.



პასუხი. როგორც თქვენი კითხვიდან ირკვევა, ციციშვილს გადაწყვეტილი ჰქონია გურჯაანის სცენის მაცურებელი თითო—თითოდ ჩაატანოს სურამის ციხის კედლებში ზუ-



კომბინატორი შვილობილის როლში

ეროვნული
საბავშვო

რამდენი ადამიანიცაა, იმდენი ხასიათია და თუ ხასიათების მცოდნე ადამიანი ხასიათზეა, თავის სასარგებლოდ სხვადასხვა ხასიათების გამოყენება სულაც არ გაუჭირდება.

გრიგოლ აბულაძე უდევოდ არ გაჩენილა დედამიწაზე, მაგრამ ყველა გულუბრყვილო მოხუცებული საკუთარ მშობლად მიაჩნია და მზად არის ყველას ღირსეული შვილობა გაუწიოს.

ოღლა ჭყონიას, ამ 75 წლის დედაბერს, შვილებიცა ჰყავს და შვილიშვილებიც, მაგრამ იცის, რომ რაც უფრო მეტი შვილი ჰყავს, მით უფრო დასაფასებელია მშობელი და ამიტომაც ამ სიბერეში შვილთა მომრავლებას არა თაკილობს. ალბათ, ასეთი სურვილის ძალით იყო, რომ ერთ მშვენიერ დღეს მასთან მშვენივრად ჩაცმული ახალგაზრდა შემოქროლდა ავტომანქანა „ვოლგით“, გადაეხვია, გადაკოცნა.

დედი, ჩემო საყვარელო დედი!—ხვეწა-კოცნის სურვილი ერთხელ კიდევ მოაწვა გულაჩუყებულ გრიგოლს და თვალებიდან ცრემლები საზამთროსაგით გადმოუვორა.



— ვინა ხარ, შვილო? სადაური ხარ, რომ პირიდან ასეთი მარგალიტები ამოგდის?—შეეკითხა ცოლ-შვილის პატრონ აბულაძეს და დედაშვილურად თავზე ხელი გადაუსვა.

— გრიგოლი მქვინ და გრიშას მეძხიან, დედიკო.

— აფერუმ შენს ვაჟკაცობას, კარგი გული გქონია.

— კარგი და ასეთი, დედიკო, ბატკანივით უცოდველი ვარ და ფუტკარივით ხვავიანი.

— რამ მოგიყვანა, შვილო, ჩემთან, რა არის?!

— დედა-შვილობამ, საყვარელო, ხომ გაგიგონია სიმღერა:

„შენი თმების ჭადარამ ჩემი გული დაღარა, საყვარელო ჩემო დედი“.

— სიმღერაც კარგი გცოდნია. სად მუშაობ, რა სპეციალობისა ხარ?

— ექიმი ვარ კარში და მსახიობი—მუსკომედიის თეატრში.

— ექიმი ხარ თეატრში და მსახიობი—კარში?

— არა, დედი, პირიქით, სახლი არა მაქვს და კარი, თქვენი ეზო და ბინა შემყვარებია.

— მერე და, მოდი, შვილო, აგერ ამ ოთახში იცხოვრე და იხარე.

— ცოლ-შვილი?

— ცოლ-შვილიც მოიყვანე, შენ შემოგველოს დედაშენი. შენთვის მიჩუქნია ჩემი სახლის ერთი მესამედი, 17 კვადრატული მეტრი ოთახით, შუშაბანდით და სამზარეულოთი.

ითქვა სიტყვა, დაიღო ხელშეკრულება. დიასახლისმა ოღლამ აჩუქა, მსახიობმა გრიგოლმა მიიღო და ნოტარიუსმა თამრიკომ დაადასტურა. ამობენ, თითქოს, ამ დედაშვილურ ჩუქებას საფუძვლად ოღლას მიერ მიღებული და გრიგოლის მიერ ჩუქად მიცემული 70.000 მანეთი ედო, მაგრამ ბოროტი ენები ბევრ რამეს იტყვიან და ყველაფერს ხომ არ დაგიჯერებთ!

და დაიწყო თავისი ახალი დედიკოს სახლში ცხოვრება ახალმა შვილიკომ. დედა-შვილი თუ მერცხლებივით არა ჭიკჭიკებდნენ, მტრედებივით მაინც ლულუნებდნენ და ერთმანეთს შენი ჭირიმეს დაუსართავად სიტყვას არ ეუბნებოდნენ.

და იყო აბულაძე თავლზე უფრო ტკბილი.

და იყო აბულაძის მეუღლეც ტკბილად მოუბარი.

და იყო საუბარი ტკბილი.

შესდგა თათბირი პირველსავე დღესა, გრიგოლის მიერ სამსართულიანი სახლის აშენებისა და იქიდან ერთი ოთახის ოღლასათვის მიცემისა...

— აშენდეს, არა?—იკითხა სახეგაბადრულმა გრიგოლმა.

— ჰაი... ჰაი... რომ აშენდეს,—დაუდასტურა ოღლამ.

ასე დამსხვილდა გრიგოლის თავში სამსართულიანი სახლით ასეული ათასობით მოგების სურვილი.

და აშენდა ელვაზე უსწრაფესად სამსართულიანი სახლი ვაკეში, რომლის დამთავრებისთანავე შვილმა დედას ყინულივით ცივი უარი უთხრა შეპირებულ ოთახზე.

და ატყდა ისეთი ლანძღვა-გინება «შვილიკოსა» და «დედიკოს» შორის, რომ მსგავსი მისი არათუ დედაშვილობას, მტრობასა და ღუშმანობას არ ახსოვს. ლანძღვა-გინება ცოტა ხნის შემდეგ ცემა-ტყეპით შეიცვალა და მამლებივით წაქიდებული «დედა-შვილი», მეზობლებს ვინ ჩივის, სასამართლო—პროკურატურამაც ვერ გააშველა.

ამ ლანძღვა-გინების დროს გამოირკვა, რომ შვილს, ანგელოზის ტანსაცმით მელში გამოწყობილ გრიგოლ აბულაძეს, «დედიკოს» გაცნობამდე სხვა რამ საქმენი სამირონიც ჩაუდენია ჩვენ საყვარელ დედაქალაქში. პირველი სახლი 1948 წელს ერისთავის ქუჩაზე 40.000 მანეთად უყიდა და 1952 წელს 76.000 მანეთად გაუყიდა, 1952 წელს მსგავსივე სახლი ლგოვის ქუჩაზე უყიდა, ხოლო 1957 წელს ისევე გაუყიდა, 1953 წელს 12.000 მანეთად უყიდა ავტომანქანა «ბობედა» და 1956 წელს კი ახ მანეთად გაუყიდა, 1956 წელს უყიდა ავტომანქანა „ზიმში“ და ერთი წლის შემდეგ ახ მანეთად გაუყიდა (ამ სიაში არ შედის ის ავტომანქანები, რომლებიც სხვის გვარზე ყოფილა გაფორმებული). ბოლოს, ავტომანქანა «ვოლგა» უყიდა და დედიკონაბოგნს მამიკოს ძებნა დაუწყია. და უპოვია გრიგოლ აბულაძეს ასევე ადვილად მამიკო ალექსი ხომასურისძის სახით. წყნეთში მის ნაკვეთზე ორსართულიანი სახლი აუგია და ყოვლად პატიოსანი ადამიანისათვის აუტიკივარი თავი შაკიკ-ტიკივლით აუტიკივია.

დედაშვილობა მეტად ძვირფასი გრძნობაა, მისმა სიტყვამ შეიძლება მრავალი სასიკეთო ნაყოფი გამოისხას... მაგრამ როცა დედაშვილობას და „ჩუქება-გაჩუქებას“ უკან უდგანან თაღლითები, საჭიროა მათ მიმართ ხმა ავიმალღოთ.

ამჟამად დაპქრის გრიგოლ აბულაძე «ვოლგით» სასამართლოებსა და პროკურატურაში. უნდა ხელიდან დაუძვრეს მოტყუებულ «დედა-მამას», რათა კვლავ (ვინ იცის მერამდნედ) გაჰყიდოს წყნეთსა და თბილისში მის მიერ გასასყიდად აგებული სახლები.

ფრთხილად, გრიგოლ, სამსართულიანი სახლების, აგარაკებისა და ავტომანქანების აფერისტულად შოვნის და გაყიდვის უკან, სხვა საკანაც არის, სადაც უფასოდ აძლევენ ბინას შენისთანა კომბინატორებს.

3. არაგველი

მ. ჭარაშოტი

ნან. გ. ფირცხალავასი




— ოცი დღეა, რაც აგარაკზე ვარ და ა კილო მოვიმატე წონაში!

— ეგ რა არის, მე მხოლოდ ორი კვირაა, რაც რესტორნის დირექტორად ვმუშაობ და 10 კილოზე მეტი მოვიმატე!



— არკიმო სპირლინი, ნეტავი თქვენისთანა ლაშაჩი თავი მაქონდეს და ჩემს ლუბუ თანს ჯანდაბანდელგა მქონია!



საწყევლო სესია დამთავრდა და სტრიაშოლად ტყველი მიანეულ... ცოცხალი კოლაგორი... საქართველო, მშენებელი!

რომ, აშენდა ჩემს წილადრისცემად—ჩემ შეიძლება შორს გადამატეს თარიღი... როგორ, ქრისტოვანი ქრისტოვანი!—ტყუარს იანს...

საქართველო, მშენებელი! — სატორონიო—ლუდოვინი იგი... მარია მარია

პროტის „ანიონი“ — ქალი ისევე მას ხელს ატყობს... ალ. ბანაშვილი



დაკავშირებული აზრობანი

ბარდოს ნეტისა მადლმა... ლაშარია, შე—შაა... ლაშარია, შე—შაა...



— ერთი ბილეთი არა გავთ სურამსამდე? — შენ გეგი ხომ არა ხარ!

ბენი ტყარანი — პოლიტიკური ადვოკატი... სახურველი დაავადება... ა. ბანიშვილი



ამაში არც არაჩვეულებრივი ყოფილა არაფერი და არც საგაზეთო, მაგრამ ყველაფერი გაზეთის გამო მოხდა. ზუგდიდის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მასწავლებელი ვასილ ცომაია თბილისს ესტუმრა, „ტრანსელდორიზდატს“ თავის ფეხით მიაკითხა და გაზეთი „რკინიგზელი“ გამოიწერა. ეს ჩვეულებრივი მოვლენა მოხდა 1960 წლის 25 აპრილს. ქვითარი № 274345 ორიოდე სიტყვით, მაგრამ დამაჯერებლად, ამცნობდა ცომაიას, რომ იგი ამა წლის მაისიდან მთელი ექვსი თვის მანძილზე მიიღებდა გაზეთს.

ცომაია ზუგდიდში დაბრუნდა და შეუდგა ყოველდღიურ საქმიანობას.

მალე იჩენია პროლეტარიატის საერთაშორისო დღე და ნაპირველმაისარს საპირველმაისო გაზეთები გადათავალიერა და მოაგონდა თბილისში გაზეთი „რკინიგზელი“ რომ გამოიწერა.

ცომაიამ მიაკითხა ზუგდიდის კავშირგაბმულობის რაიკანტორას და გაზეთი მოთხოვა.

მაგრამ გაწილებული გამოისტუმრეს: ჯერ არ მიგვიღია და ალბათ მივიღებთო. ცომაიას ცხოვრების კიდევ რამდენიმე დღემ ჩაიარა სასურველი გაზეთის—„რკინიგზელის“ გარეშე.

მან ითმინა, ითმინა, მაგრამ, ბოლოს, უგზოუკვლოდ დაკარგა მოთმინება და გაზეთი რატომ არ გამოიგზავნეთო შეაწუხა „ტრანსელდორიზდატი“.

„ტრანსელდორიზდატმა“ მაისის 26-ს ზუგდიდის საფოსტო განყოფილებას საგანგებო მიმართვით, № 61/45, ოფიციალურად ამცნო, რომ ცომაიასათვის გაზეთი რა ხანია გამოგზავნეთ და, რა დმერთი გაგიწერა, ხელისმომწერს რატომ არ აკმაყოფილებთო.

საფოსტო განყოფილების გამგემ ამხ. რ. კობლაიამ მხრები აიჩქრა და ცომაიას უბახუხა: რაც არ მიმიღია, რა მოგცეო.

ცომაიამ ისევ შეაწუხა „ტრანსელდორიზდატი“: ზუგდიდის საფოსტო განყოფილებამ ხაიდან მომცეს, რაც არ მიუღიაო.

„ტრანსელდორიზდატმა“ ობერატიულად, 7/VII-ს, აფრინა „ცნობა ზუგდიდში: რას ამბობთ, რკინიგზელთა გაზეთს რკინიგზით ვაგზავნით და როგორ თუ არ მიგვიღიათო. ზუგდიდის საფოსტო განყოფილებამ ამჯერადაც ვერ მისცა გაზეთი დაწარალებულ ხელისმომწერს—ცომაიას, მაგრამ, სამაგიეროდ, არ დაიწარა ოფიციალური ბეჭედდამსული პასუხის გაცემა.

„ედღევა ცნობა ვასილ სამსონის-ძე ცომაიას მასზედ, რომ მის სახელზედ ქ. თბილისიდან გამოწერილი გაზეთ „რკინიგზელის“ არც ერთი ეგზემპლარი ზუგდიდის კავშირგაბმულობის რაიკანტორაში არ მიგვიღია. რისთვისაც მოქალაქე ცომაიას მოთხოვნას ვერ ვაკმაყოფილებთო“.

ცომაია ამანაც არ დააკმაყოფილა და განცხადებით მიმართა „ნიანგის“ რედაქციას.

ცომაიას განცხადებისათვის „ნიანგის“ რედაქციამ ყურადღება მიაქცევინა შექვეთის მიმღებს „ტრანსელდორიზდატს“.

„ტრანსელდორიზდატმა“ არ დააყოვნა „ნიანგის“ რედაქციისათვის წერილობითი პასუხის გაცემა და 22 ივლისს ოფიციალურად აცნობა, რომ ზუგდიდის საფოსტო განყოფილებას რეგულარულად ეგზავნება 8 ცალი „რკინიგზელი“, რომელთაგან 7 ცალი „სოიუზპეჩატის“ განყოფილებისათვის, ხოლო 1 ეგზემპლარი ამხ. ცომაიასათვის. გამოდის მოლახებური ამბავი.

„ტბილელდორიზდატი“ მართალია, რადგანაც რეგულარულად გზავნის გაზეთის ეგზემპლარებს.


ზუგდიდის საფოსტო განყოფილება მართალია, რადგანაც, როგორც თვითონ აცხადებს, არ მიუღია „რკინიგზელის“ არც ერთი ეგზემპლარი და ცომაიას რით დააკმაყოფილებს.

და, წარმოიდგინეთ, რომ ცომაიაც მართალია, რადგანაც გაზეთი გამოიწერა იმისათვის, რომ მიეღო და, რომ ვერ მიიღო, ჩივის.

და ბოლოს, „ნიანგის“ რედაქციაც მართალია, როდესაც აყენებს საკითხს დამნაშავეის სათანადოდ დასჯის შესახებ.

მ. ძარჩაშვა

ნან. ზ. წერეთლისა რესტორანებში დაწერილ ანგარიშებს არ უღატუნენ მომხმარებლებს.



— ანგარიში წარმომიდგინეთ, მეგობარო!
— ზეპირად მოგახსენებთ, ბატონო, რაღაც 400—700 მანეთისათვის ქალაქის ხომ არ გავაფუჭებ ახლა!

არსებობს კაცი, რომელსაც ხელთ აქვს შემდეგი შინაარსის დახასიათება: „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიური ინსტიტუტი გაცნობებთ, რომ ავტომობილსა გაზ 51 გო №89—76 ამამჩიანი ბ. ბ., რომელიც მუშაობდა გეოლოგიური სამეცნიერო ინსტიტუტის ექსპედიციაში ზემო რაჭაში, იჩენდა საქმისადმი ყურადღებას, იცავდა შრომის დისციპლინას და ექსპედიციის ხელმძღვანელობა გამოთქვამს მისადმი კმაყოფილებას. ინსტიტუტის დირექტორის მონადგილე

— (გ. ა. გოგავა)“.

ბაბკენ ამამჩიანს რომ პკითხო, იგი ოცდაათი წელია, რაც მძლოლად მუშაობს და ამ ხნის განმავლობაში არ ჰქონია ავარია და, რაც მთავარია, მისთვის უცხო ხილია ხ ა ლ ტ უ რ ა.

ერთხელ მღვდელსაც შესცდებდა ალილუია, და აი ბაბკენი ამა წლის 22 ივლისს უსაგზუროდ აღმოჩნდა ონში. მისი მანქანის ძარა შოვისაკენ მიმავალი ხალხით დაიტვირთა.

— ხუთი წუთი მოიცადეთ, „ხაზეინს“ ვნახავ და მერე ხელათ ავალთ შოვში. — მიმართა ბაბკენმა მგზავრებს. ამამჩიანის ხუთი წუთი ერთ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. ბოლოს, როგორც იქნა, ნახა „ხაზეინი“, ჩასვა კაბინაში და გვერდზე ვიღაც მანდილოსანი მოუსვა.

სულ ორიოდე კალომეტრიც არ იყო გასული ონიდან, რომ ბაბკენმა, „ხაზეინმა“ და მანდილოსანმა დატოვეს კაბინა და მკავე წყლით ისიამოვნეს, მგზავრები კი ხახაგამშრალი შეპყურებდნენ მათ ნებივრობას.

მანქანა დაიძრა, რაჭის გზებზე არც თუ ისე ადვილია მანქანით მოგზაურობა, ისიც სიცხეში. ვიღავალახით ავიდნენ საგლოლომდე და...

— ხუთი წუთით მოიცადეთ, ცოტა პურს შევჭამთ და მერე ხელათ ავალთ შოვში. — ცვლავ მიმართა ბაბკენმა მგზავრებს. მგზავრებმა იცადეს ხუთი წუთი, ოცდახუთი წუთი, საათი, ორი საათი. ამამჩიანი თავის „ხაზეინით“ და მანდილოსანით საგლოლოს სასადილოში ჭიქას ჭიქაზე სცილიდა და მგზავრებს კი დაპირებებით ისტუმრებდა— კიდევ ხუთი წუთით. მოთმინებადაკარგული მგზავრები სხვა მანქანაში გადაჯდნენ.

მგზავრების დაკარგვამ გაააფთრა ბაბკენი და ოღროჩლო გზაზე მერანით გააქროლა მანქანა, მალე დაეწია თავის ყოფილ კლიენტებს და ვიწრო გასასვლელთან უყელა.

- გაგვიშვი. — შევედრნენ მგზავრები.
- არ გაგიშვებთ. — უბასუხა ბაბკენმა.


ატყდა გამიშვი და გაგიშვებ, შემდეგ ფულიც შეაძლიეს.

— რაო? ხუთი თუმანიო? მე თქვენი მათხოვარი ხომ არა ვარ!? ონიდან შოვამდე სულზე ოცი მანეთია.

და ბოლოს ბაბკენის მანქანამ იმდენი მანქანები გააჩერა, რომ ამამჩიანი იძულებული გახდა დაძრულიყო ადგილიდან, მაგრამ ამჯერად უკვე კუს სისწრაფით მიიწვედა წინ და უკან მომყოლ მგზავრებს მტვრის კორიანტელში ახვევდა.


ბაბკენმა ერთხელ კიდევ დააყენა მანქანების ქარავანი, კიდევ შეიქნა გამიშვი და გაგიშვებ და ბოლოს, როგორც იქნა, გაანთავისუფლა გზა.

განა ამის შემდეგ შეიძლება ცული დახასიათება მისცენ ბაბკენს?



ნიუ-იორკის პოლიციამ აღმოაჩინა ბრუნკლინის «ბო-
როტომომქედთა სკოლა», სადაც ამზადდებდნენ ახალგაზ-
რებს.

„ბედნიერი“ ბილეთი



ნახ. გ. ლომიძისა

— აბა დაასახელებ საპატიო განგებებებ?
— ნიკსონი, დალესი, პაუერსი...


გადასაყრელი უნდა გადაიყაროსო
იფიქრეს მოზინადრებმა და მიმართეს

რაც მართალია, მართალია, ბეიკის
ქუჩა № 51-ს სახლი, რომლის მშე-
ნებლობაც დაახლოებით ამ ერთი
წლის წინათ დაშორდა, ისეთია, რომ
ავ თვალს არ დაენახებოდა. ყველაფე-
რი რიგზეა, სახლი ლამაზი და
კეთილმოწყობილია—გაშა ჩვენს მშე-
ნებლებს!

მართო ამ სახლის ეზო რად
ღირს, არც სიკანე აკლია და არც
სიგრძე. უხაროდეთ ამ ეზოს ბე-
შეებს, გაჭიმონ ფრენბურთის ბადე
ან დასვენ კალათბურთის ძელები,
ჩამოკიდონ ბადეები და ითამაშონ
რამდენიც უნდათ! თუმცა... ერთი
პატარა გარემოება უშლის ხელს
ამ საქმის მოგვარებას. აქ, ამ ვე-
ებერთელა ეზოში იმდენი ნაგავი და
მშენებლობის ნარჩენებია გაბნეული,
რომ კაცს შეაფიქრებინებს, ეს საც-
ხორებელი სახლის ეზოა თუ სხვა-
დასხვა ასორტიმენტის ნაგავის გამო-
საფენი ადგილი.

გადასაყრელი უნდა გადაიყაროსო
იფიქრეს მოზინადრებმა და მიმართეს

სახლის კომენდანტ ალექსანდრს.
ალექსანდრსა მშენებლობის სამ-
მართველოსაკენ გაიშვირა თითი, ეს
მათი საქმეაო, მშენებლობის სამმარ-
თველომ რაისაბჭოზე მიუთითა. აქე-
დან ისევ ალექსანდრსკენ გაიშვირეს
თითი და ასე წრედ შეკრულ თი-
თებს შორის ნაგავ ისევ უღანაკლი-



სოდ დარჩა. თუმცა არა, ცოტა მო-
ემბატა კიდევ, იმედია მოზავალში
კიდევ მეტი და მეტი მოემბატება.
ახლა მხოლოდ ერთი რამ არის გა-
სარკვევი: არსებობს თუ არა თბი-
ლისში დასუფთავების ტრესტი და
რა ფუნქციები გააჩნია მას? ამ კით-
ხვაზე ყველაზე მეტად ორჯონიკიძის
სახელობის რაიონის სანეპიდსადგუ-
რის მუშაკთა აზრია საინტერესო.

სტეფან დანელიჩი არცთუ ახალგაზრდა გახლდათ და, ალბათ, ამით უნ-
და აიხსნას, რომ ცრუმორწმუნეობით შეპყრობილი სხვადასხვა მტკიცებუ-
ლებას უკავშირებდა თავის ბედს... არ ვიცი რატომ და მას ჩვენს უბანში «სხასტლივი
სტეფანს» ეძახდნენ.

სტეფან დანელიჩმა თითქმის 30 წელი გაატარა ქალაქის ქვეყანა, სა-
ანგარიშო წიგნებსა და უთვლელ-უანგარიშო ანგარიშებში; სკამზე მუდმივი
ჯდომისაგან მსხვილი თავი მხრებში ისე ჩაძვრებოდა, გეგონებოდათ ეს კაცი
უკისროდ დაბადებულიყო. სახეზე მკაცრი და კუსტი გამომეტყველება გაპყრო-
და, თითქოს ვინმეს უბრაზდება და მასთან საჩხუბრად ემზადებაო.

უცნაურად ნუ ჩამოვლით, თუ ვიტყვი, რომ სტეფან დანელიჩმა მხოლოდ
ერთი გზა იცოდა,—სახლიდან დაწესებულებამდე, დაწესებულებიდან სახლამ-
დე. თეატრი, კინო, კონცერტი და სხვა გასართობი მისთვის არ არსებობდა.

როგორც გამოირკვა, სტეფან დანელიჩი ბედს უკავშირებდა ისეთ რიცხ-
ვებს, რომლებიც ერთი და იგივე ციფრით იწყებოდა და მთავრდებოდა, ტრამ-
ვაის, ტროლეიბუსის, ავტობუსის ბილეთს სწორედ ამ თვალსაზრისით სინჯავდა.

მაგრამ თქვენ, ალბათ, იკითხავთ, ბოლოს და ბოლოს ეს კაცი რაში ხე-
დავდა ბედნიერებას. მაგალითად, ახანოში წასვლისას ბედნიერ ბილეთზე ოც-
ნებობდა იმიტომ, რომ ხალხი ცოტა ყოფილიყო, ნაცნობი მექისე შეხვედრო-
და, ფეხი არ დასცურებოდა და არ წაქცეულიყო. უბრალო სურდოც რომ
პქონოდა, ბედნიერი ბილეთით გამოჯანმრთლებას ელოდა. სამსახურში წასვ-
ლისას ეს ბილეთი ნიშნავდა, რომ უფროსი არ გალანძღავდა, არ გაუწყობო-
და; ძილის წინ კი სულ იმას ნატრობდა—ცუდი სიზმარი არ ენახა. ერთ დროს,
ჯერ კიდევ ახალგაზრდობისას, ბედნიერი რიცხვი უწინასწარმეტყველებდა ლა-
მავ საცოლეს, ხოლო ქორწინების შემდეგ ოქროს ქორიან ვაჟებს (ეს უკანას-
კნელი დღემდე მხოლოდ ოცნებად დარჩა მისთვის).

კარგად მახსოვს, ერთხელ ტრამვაის კონდუქტორმა ბილეთი ცუდად მოუ-
ხია. თუმც დანელიჩი ბილეთებს ხალხისაგან ფარულად, ვაკონიდან გადმოს-
ვლის შემდეგ ამოწმებდა, მაგრამ ამჯერად ვერ მოითმინა, ისე შეშფოთდა, ისე
შეწუხდა, რომ აკანკალებული ხელით ამოიღო ოქროს ჩარჩოიანი პენსე და
ცხვირზე გაიკეთა. თურმე ბედნიერი ბილეთი შეხვედროდა, მერე როგორი ბედ-
ნიერი, ხუთიანით იწყებოდა და ხუთიანით მთავრდებოდა.

— ეს რა ჰქენით, ვინ მოგვით უფლება ასე დაგლიჯოთ სახელმწიფო დო-
კუმენტი? კონტროლიორი რომ ამოვიდეს, როგორ ვაჩვენო ასე დაგლეჯილი
ბილეთი?.. მერე დაზიანებებს კი, რომ ბილეთი თქვენ დამიხნით, თქვენი გაუფ-
რთილებლობითა და უპასუხისმგებლობით?..

დანელიჩს გულმა შემოკვინესა, ტკივილისაგან შეეკუმშა, ხუმრობა ხომ არ
იყო. ბედნიერი ბილეთი დაუხიეს.

ბედნიერ ბილეთთან იყო დაკავშირებული კიდევ მრავალი შემთხვევა მონ-
გარიშის ცხოვრებაში, მაგრამ ერთმა ამბავმა წარუშლელი კვალი დატოვა ჩემს
მეხსიერებაში. დანელიჩს შინაბერა და საბედო ურეცხავა ხოლმე ტანსაცმელს.
ერთხელ რაღაც ფიქრებით გართულს გადაავიწყდა ხალათის ჯიბეების გასინ-
ჯვა და წყლით სავსე ტაშტში ჩაუძახა სწორედ ის ხალათი, რომლის გულის-
ჯიბეც სავსე იყო «ბედნიერი» ბილეთებით. მერე რა ბილეთები ეწყო ჯიბეში,
სულ ცხრიანები (სტეფან დანელიჩი—„ცხრიანს“ იმ ბილეთებს ეძახდა, რომე-
ლიც ცხრიანით იწყებოდა და ცხრიანით მთავრდებოდა).

სტეფან დანელიჩი ამ ბილეთებს მამისეულ ყუთში არც კი ინახავდა და
მუდამ გულსაჯიბით დაჰქონდა. ახლა კი ბილეთებიანი ხალათი წყალში იყო
ჩამბალი, უნდა გენახათ, როგორ გაცოფდა. როგორ გაბრაზდა, კინაღამ შემოე-
ლახა საწყალი და...

მაგრამ ყველაზე მთავარი და არსებითი ამბავი მაინც შემოდგომის საღა-
მოს მოხდა. ამბავი კი არა, მთელი ტრაგედია იყო. ნოემბრის ყინვლიანი
საღამო იყო. ნემსივით წვრილი წვიმა სცრიდა. ტრამვაიდან გამოსულმა სტე-
ფან დანელიჩმა დაჭმუჭნილი ქოლგა გაშალა, პალტოს საყელო აწია და ისე
გაძუნძულდა ზღარბივით. ხასიათზე ვერ იყო, რადგან დღესაც შელაპარაკება
მოუხდა უფროსთან.

მონგარიშზე ხელი ჯიბეში ჩაიყო და თითქმის ბილეთი მოსინჯა. რაღაც
ცუდი წინათგნობა პქონდა, ჩქარი ნაბიჯით წავიდა გადასასვლელისაკენ და
წუთით შეჩერდა. შუა გზაზე, სადაც ჩვეულებრივ აკრძალულია გაჩერება, ჯი-
ბიდან ბილეთი ამოიღო, ცხვირზე პენსე გაიკეთა და გაშეშდა... ხელში ბედნიე-
რი ბილეთი ეჭირა, მერე რა ბილეთი...

— ცხრიანი!.. ცხრიანი!.. ბედ...—სიტყვა ვერ დაასრულა, უეცრად წვიმასა
და ნისლში გამოიქროლა სისხლისფერმა „მოსკვირმა“ და მთელი ძალით დაე-
ჯახა მას...

ერთი თვე იწვა სტეფან დანელიჩი საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფი-
ლებაში და დღეს გამოვიდა იქედან. საბედო ტაქსით დახვდა. მთელი გზა
სდუმდნენ, ერთი სიტყვაც კი არ უთქვამთ ერთმანეთისათვის.

სტეფან დანელიჩი ოთახში შესვლისთანავე მამისეულ ყუთს ეცა, სწრაფად
ამოკრიფა იქიდან «ბედნიერი» ბილეთები და ცეცხლს მისცა.

ს. მანვილიანი

რედაქტორი ნ. შველიძე. სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, ნ. დუმბაძე, ნაქ. კაცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა
ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, ო. ჭელიძე.

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ниянги“.
რედაქციის მისამართი: რუსთაველის გამზ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის — 8-76-69, ხაერთო განყოფილების — 8-10-49

გამომც. № 17. ხელმოწ. დასაბ. 29/VIII-1960 წ. ქალ. ზომა 70×108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა
რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. წყ. № 1443, უფ 03756. ტირ. 40.000



ბელგიელი კოლონიზატორები ცდილობენ გამოიყენონ ჩომბეს მარიონეტული მთავრობა, რომ კონგოს ჩამოგლიჯონ მისი ტერიტორია კატანგა.

უზადრუჰი მარიონეტის უზადრუჰი ცდა!